**სსიპ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი**

01/09/2025

N 189

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**კონკურსის „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების 2025-2026 წლის წარმოების დაფინანსება“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ**

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანებისა და სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ფილმწარმოების მხარდაჭერის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 1 სექტემბრის №1-419 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

**1.** 2025 წლის 1 სექტემბერს, გამოცხადდეს კონკურსი „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების 2025-2026 წლის წარმოების დაფინანსება“ და დამტკიცდეს საკონკურსო პირობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

**2.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

მამუკა ბლიაძე

დირექტორი

ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE •